

მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიები იპოთეკით
დატვირთული ქონების რეალიზაციის დროს

ბექარ ნარუშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

სამაგისტრო ნაშრომი „მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიები იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის დროს“ შექმნილია ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის და ნორმატიული აქტების საფუძველზე და მიმართულია მხარეთა მაქსიმალურად დაცვის და იმ საშუალებების გამოვლენისაკენ, რომლებიც ჯერ არ არის გათვალისწინებული ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბექარ ნარუშვილი

9 ივნისი, 2015 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება მხარეთა დაცვის გარანტიებს იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის დროს და წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას იმ საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენის და მათი გადაჭრის სავარაუდო გზების შეთავაზების, რომელიც იპოთეკის ინსტიტუტს ახასიათებს.

აღნიშნული კვლევა ეფუძვნება ნორმატიულ, შედარებით და ლოგიკურ სამართლებრივ მეთოდებს. ნორმატიული მეთოდების გამოყენებით, აღწერილი იქნა ქართული აქტები, რომლებიც არეგულირებენ საიპოთეკო ურთიერთობებში მონაწილე მხარეების დაცვის საშუალებებს. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გზით, ქართული კანონმდებლობა, რეალიზაციის პროცესში მხარეთა დაცვის კუთხით, შედარებული იქნა ევროპულ კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით სამართლის გერმანულ მოდელთან, ვინაიდან იგი სწორედ გერმანულ მოდელს ეფუძვნება. ამ მეთოდის გამოყენება მიზანმიმართული იყო მსგავსების და განსხვავებების საპოვნელად და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოჩენისაკენ. ლოგიკური მეთოდის გამოყენებით განხილული იქნა სამეცნიერო ლიტერატურა, ავტორთა შეხედულებები, კანონმდებლობის ხარვეზები და გამოვლენილი პრობლემატური საკითხები, რომლებიც შეჯამებულ იქნა ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

სწორედ ამ მეთოდებზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების, მიმოხილვის და ანალიზის, ავტორთა მოსაზრებების გაცნობის და გამოვლენილი პრობლემების საფუძველზე და მათი აღმოფხვრის მიზნით, შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც მნიშვნელოვნად დახვეწავს ქართულ საკანონმდებლო სივრცეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იპოთეკა, რეალიზაცია, პრობლემა.